შორენა შენგელია

# უმუშევრობის პრობლემა ევროპასაც აქვს

ათასობით უმაღლეს განათლებული ბერძენი, ვერ შოულობს სამუშაოს პროფილის მიხედვით. შექმნილმა მდგომარეობამ ძალიან აალელვა ევროპარლამენტის ბერძენი დეპუტაცია, რომლებმაც მოუწოდეს თავის კოლეგებს 15 ქვეყნიდან განეხილათ ეს მეტად მტკივნეული საკითხი უახლოეს შეკრებაზე. აღმოჩნდა, რომ დიპლომიანი სპეციალისტების უმუშევრობის პრობლემა მთელს ევროპაში საკმაოდ მწვავედ დგას და იგი 23,5%-ს შეადგენს. სამწუხაროდ, ესპანეთში - 33,9% დიპლომიანი უმუშევარია. უარესი მდგომარეობა აღმოჩნდა ფინეთში, სადაც უმუშევრობამ 35,4% შეადგინა.

ყველაზე კარგი მდგომარეობა სამუშაოების მხრივ ავსტრალიაშია. ევროპარლამენტარების აზრით უმუშევრობის ეს დონე განათლებულ ევროპელებში, პირველ რიგში გამოწვეულია ეკონომიური კრიზისით, რომელსაც როგორც მათ მიაჩნიათ, ბოლო არ უჩანს, მეორე მიზეზად ითვლება ის, რომ დღეს მსოფლიოს უფრო სჭირდება ტექნიკური სპეციალისტები. კომპიუტერების საუკუნემ ჰუმანიტარები შრომის ბირჟაზე განდევნა.

# საბერძნეთში „მობილურები" ისმინება

სპეციალურმა საპარლამენტო კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეესწავლათ მართლაც ისმინებოდა თუ, არა 10 ათასობით მობილური ტელეფონები, დაასრულა მუშაობა. მათ დაადგინეს, რომ საბერძნეთში ყველგან ირღვევა კონსტიტუციის მუხლი „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის" თაობაზე. აქ ყოველგვარი საბუთის და სანქციის გარეშე, პირადი ინიციატივით ისმენენ მათთვის საინტერესო საუბრებს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

საპარლამენტო კომისიამ გააფრთხილა კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობა, რომ სატელეფონო საუბრების მოსმენა კონსტიტუციის ძირითადი კანონის დარღვევაა და ისინი ვალდებულნი არიან თავიანთი ძალებით და თანხებით, რომელიც საკმაოდ სოლიდურია, უზრუნველყონ მობილური ტელეფონებით საუბრების საიდუმლოდ დაცვა.

# პრიმაკოვის ვიზიტი დასრულდა

საბერძნეთის მთავრობა დიდი სიხარულით ელოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის ვიზიტს საბერძნეთში. ოფიციალურ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ საბერძნეთსა და რუსეთს შორის განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირებია და ეს ვიზიტი კიდევ უფრო გააღრმავებს ამ დამოკიდებულებებს, რომელსაც დიდი წარსული აქვს და მომავალიც კარგი ექნება.

ევგენი პრიმაკოვმა ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ განიხილავს მთელ რიგ კომპლექსურ საკითხებს ორმხრივი ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, ექსპერტების შეფასებით მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა სამხედრო ტექნიკურ სფეროში. საბერძნეთი დიდ ინტერესს ავლენს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების „სუ-27" და „სუ-30"-ის მიმართ.

ამჟამად სრულდება ბუნებრივი გაზის მაგისტრალის მშენებლობა...

# პრიმაკოვის ვიზიტი დასრულდა

საბერძნეთის მთავრობა დიდი სიხარულით ელოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის ვიზიტს საბერძნეთში. ოფიციალურ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ საბერძნეთსა და რუსეთს შორის განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირებია და ეს ვიზიტი კიდევ უფრო გააღრმავებს ამ დამოკიდებულებებს, რომელსაც დიდი წარსული აქვს და მომავალიც კარგი ექნება.

ევგენი პრიმაკოვმა ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ განიხილავს მთელ რიგ კომპლექსურ საკითხებს ორმხრივი ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, ექსპერტების შეფასებით მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა სამხედრო ტექნიკურ სფეროში. საბერძნეთი დიდ ინტერესს ავლენს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების ,,სუ-27'' და ,,სუ-30''-ის მიმართ.

ამჟამად სრულდება ბუნებრივი გაზის მაგისტრალის მშენებლობა და საბერძნეთი რუსეთიდან მიიღებს წელიწადში 2,4 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს.

პრიმაკოვს მიაჩნია, რომ მისი ვიზიტი ნაყოფიერი იქნება, რადგან მოსკოვისა და ათენის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. მას საქმიანი შეხვედრები ჰქონდა პრემიერ-მინისტრ კოსტას სიმიტისთან. პრეზიდენტ კოსტას სტეფანოპულოსა და ოპოზიციის ლიდერს, კოსტას კარამალისსთან.

# ნახატი ომის ტკივილსაც მახსენებს და გამარჯვების იმედსაც მინერგავს

ომმა და ლტოლვილობამ საბერძნეთში მომისროლა. იქჩასული თავდაპირველად თავს ობლად ვგრძნობდი, უცხო და მიუღებელი იყო ჩემთვის ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ ხელნელა შევეგუე გარემოს, ადამიანებსაც.

ვერ ვიტყვი, საბერძნეთში რაღაც განსაკუთრებული ვნახე და ვისწავლე - მეთქი. ცხოვრება ძირითადად ყველგან ერთნაირია, ადამიანებიც თავიანთი ყოფითი პრობლემებით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ერთადერთი რის გამოც ვუმადლი ღმერთს ის არის, რომ მოვხვდი ერთ მეტად ლამაზ ბერძნულ ოჯახში, რომელსაც დიდებული წარსული და შესაშური დღევანდელობა






(უფრო მომხიბლავი მომავალი) აქვს. ოჯახის ქალბატონი ელენე პოლიტი საბერძნეთის ერთ-ერთი ცნობილი ელჩის ნიკოლაუ პოლიტის ქალიშვილი და დიდი მხატვრის რალის შვილიშვილია, ხოლო მისი მეუღლე ბატონი კონსტან ილიასკუ საბერძნეთის სამეფო დინასტიის, იმ საუკეთესო მეფის შთამომავალია, რომელმაც თურქების 400 წლიან ბატონობას მოუღო ბოლო.

გენიალური წინაპრების შთამომავალნი უბრალოებითა და სათნოებით არიან დაჯილდოებულნი. ფულის მიმდევარ-მოყვარულთა შორის საოცარია ამ დიდებული ადამიანების ზომიერება. თუმცა, არისტოკრატობა ყველა დროსა და განზომილებაში ხელშეუხებელია.

ჩემი სიმდიდრე მათთან ურთიერთობაა და კიდევ - უნიკალური სურათი წარწერით, რომელიც პაპის კოლექციიდან მისახსოვრა, ჩემმა სათაყვანებელმა ქალბატონმა და რომელზეც ბერძენ ქალებზე თურქების ნადირობაა გადმოცემული. ეს ნახატი აფხაზეთში მცხოვრები ქართველების თავზე დატრიალებულ ტრაგედიას მახსენებს და თანაც გამარჯვების იმედს მიღვივებს.